

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	16
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	17
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	29
6. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.....	34
7. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	34
8. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	34
9. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	35
10. მოგების გადასახადის ხარჯი.....	35
11. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	36
12. გაცემული სესხები.....	36
13. წინასწარ გადახდილი გადასახადები.....	41
14. სხვა აქტივები.....	41
15. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი.....	41
16. იჯარები.....	42
17. ძირითადი საშუალებები.....	43
18. სხვა ვალდებულებები.....	44
19. მიღებული სესხები.....	44
20. სუბორდინირებული სესხები.....	45
21. საწესდებო კაპიტალი.....	45
22. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	46
23. კაპიტალის მართვა.....	47
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	47
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	48

მმართველობის ანგარიშგება.....	49
-------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს მე-12 შენიშვნაშია განმარტებული, 2023 წლის ბოლოს კომპანიამ ერთ-ერთ ფილიალში აღმოაჩინა თაღლითობის ფაქტი, რომელიც ეხებოდა ოქროთი უზრუნველყოფილ გაცემულ სესხებს. 2023 წელს კონტროლის განმახორციელებელი თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის გამო, მოლარეს გაუჩნდა შესაძლებლობა თაღლითურად გაეცა სესხები და ასევე, გარკვეული გაცემული სესხების უზრუნველყოფა გადაეგირავებინა სხვა ფინანსურ ინსტიტუტში. 2024 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება 229 ათასი ლარის ოდენობით გაცემული ვადაგადაცილებული ოქროს სესხების ჩამოწერის შესახებ. კომპანია თვლის, რომ ვერ შეაფასეს თაღლითობის ფაქტის სრულ ეფექტს გამოძიების დასრულებამდე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ანგარიშგების გამოშვების თარიღებისთვის გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესშია და შედეგები ჯერ ცნობილი არ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა მოცემული ფაქტის გავლენა გაცემულ სესხებთან, საპროცენტო შემოსავალთან, კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯთან და პოტენციურ ვალდებულების აღიარებასთან დაკავშირებით (მიმდინარე კლიენტების უზრუნველყოფის საგნის დაგირავების გამო). შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღნიშნული მუხლებისა და ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში - მომზადების საფუძველები - ფუნქციონირებადი საწარმო, კომპანიას 2024 წელს აქვს წარმოქმნილი მთლიანი სრული ზარალი 195,628 ლარის ოდენობით და დაგროვილი ზარალი, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 274,710 ლარს. კომპანიამ 2024 წელს დახურა სამი ფილიალი და დაარღვია ფინანსური ინსტიტუტის შეზღუდვა დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. როგორც ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია განმარტებული, კომპანიის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენას, თუმცა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რაც შეეხება მმართველობის ანგარიშგებას, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა
მმართველობის ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს
„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების
მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

21 თებერვალი, 2025 წელი

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	6	611,864	888,348
საპროცენტო ხარჯი	6	(201,726)	(241,270)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		410,138	647,078
კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	(255,225)	(17,920)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდგომ		154,913	629,158
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	181,013	208,633
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე	18	(49,213)	(101,065)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	8	(188,705)	(252,816)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(212,473)	(235,006)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(75,981)	(104,912)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა		8,421	(752)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(182,025)	143,240
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(13,603)	(21,306)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(195,628)	121,934

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ე. კახიანი

მთავარი ბუღალტერი _____ ი. ტაბატაძე

შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი"
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	6	611,864	888,348
საპროცენტო ხარჯი	6	(201,726)	(241,270)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		410,138	647,078
კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	(255,225)	(17,920)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის შემდგომ		154,913	629,158
სხვა საოპერაციო შემოსავალი	7	181,013	208,633
წმინდა ზარალი რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე	18	(49,213)	(101,065)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	8	(188,705)	(252,816)
სხვა საოპერაციო ხარჯები	9	(212,473)	(235,006)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(75,981)	(104,912)
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა		8,421	(752)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(182,025)	143,240
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(13,603)	(21,306)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		(195,628)	121,934

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 21 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ე. კახიანი

მთავარი ბუღალტერი _____ ი. ტაბატაძე



შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	376,931	96,857
გაცემული სესხები	12	1,492,995	2,609,277
წინასწარ გადახდილი გადასახადები	13	52,547	49,933
სხვა აქტივები	14	81,687	184,855
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	15	59,356	49,734
არამატერიალური აქტივები		999	3,724
აქტივების გამოყენების უფლება	16	72,819	70,949
ძირითადი საშუალებები	17	450,588	452,146
სულ აქტივები		2,587,922	3,517,475
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	18	27,562	5,998
საიჯარო ვალდებულებები	16	73,247	78,259
მიღებული სესხები	19	855,598	1,545,400
სუბორდინირებული სესხები	20	906,225	826,900
სულ ვალდებულებები		1,862,632	2,456,557
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	21	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება(დაგროვილი ზარალი)		(274,710)	60,918
სულ კაპიტალი		725,290	1,060,918
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,587,922	3,517,475

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (დაგროვილი ზარალი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	1,000,000	76,484	1,076,484
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	121,934	121,934
გამოცხადებული დივიდენდები	-	(137,500)	(137,500)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	1,000,000	60,918	1,060,918
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(195,628)	(195,628)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(140,000)	(140,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	1,000,000	(274,710)	725,290

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(182,025)	143,240
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	16,17	75,981	104,912
საპროცენტო შემოსავალი	6	(611,864)	(888,348)
საპროცენტო ხარჯი	6	201,726	241,270
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება		-	59,677
გაცემული სესხების საკრედიტო ზარალის ხარჯი	12	255,225	17,920
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(3,000)	-
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან	18	49,213	101,065
საკურსო სხვაობით წარმოშობილი (მოგება) ზარალი		(8,421)	752
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		(223,165)	(219,512)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გაცემული სესხების კლება		859,206	29,984
სხვა აქტივების (ზრდა) შემცირება		87,397	(10,341)
სხვა ვალდებულებების შემცირება		(36,487)	(26,900)
გადასახადების (ზრდა) შემცირება		(92)	1,857
		686,859	(224,912)
მიღებული პროცენტები		614,542	884,814
გადახდილი პროცენტები	19	(164,696)	(205,057)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა	16	(3,691)	(12,315)
გადახდილი მოგების გადასახადი		(25,749)	(33,745)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,107,265	408,785
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	17	(3,158)	(5,719)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული თანხა		3,000	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(158)	(5,719)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება	19	2,200,812	3,557,375
სესხების დაფარვა	19	(2,890,300)	(3,720,654)
დივიდენდების გადახდა	21	(128,333)	(137,500)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	16	(78,250)	(95,685)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(896,071)	(396,464)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		211,036	6,602
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	11	96,857	89,386
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი		69,038	869
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	11	376,931	96,857

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404910637, მარეგისტრირებელი ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის საფუძველზე.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის 80%-ის მფლობელი და მაკონტროლებელია ლია მალრაძე, ხოლო 20% წილის მფლობელი და დირექტორია ეკატერინე კახიანი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის №6.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: უძრავი ქონებით, ავტო ტრანსპორტით და ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები (2024 წლის ბოლოს აღნიშნული პროდუქტი აღარ გაიცემოდა). სესხები გაიცემა ქართულ ლარში.

კომპანია 2024 და 2023 წლის განმავლობაში საქმიანობას ახორციელებდა სათავო ოფისის (ქ. თბილისი, მიცკევიჩის №6) და სამი სერვის ცენტრის (ქ. თბილისი, წერეთლის 65, ჯავახეთის 3 და ქ. მარნეულში რუსთაველის 44) მეშვეობით. 2024 წლის ბოლოს სერვის ცენტრები დაიხურა და საქმიანობა მხოლოდ სათავო ოფისიდან ხორციელდებოდა.

კომპანიაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მუშაობდა 7 თანამშრომელი (2023: 16).

2. მომზადების საფუძველები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით აღრიცხული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

კომპანიისთვის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური მდგომარეობა - კომპანიის დაგროვილი ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 195,628 ლარს. კომპანიას 2024 წელს აქვს მთლიანი სრული ზარალი 274,710 ლარის ოდენობით.

ფილიალების დახურვა - 2024 წელს კომპანიამ დახურა სამი ფილიალი და საქმიანობას აგრძელებს ერთი, სათავო, ფილიალით.

მიღებულ სესხებთან დაკავშირებული შეზღუდვა - სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2024 წელს მოხდა კომპანიის მოგების განაწილება დივიდენდის სახით 140,000 ლარის ოდენობით, დამფუძნებელთა წილების შესაბამისად. აღნიშნული დივიდენდის გამოცხადებით დაირღვა სს „საქართველოს ბანკის“ სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული შეზღუდვა, ბანკის თანხმობის გარეშე 50,000 ლარზე მეტი დივიდენდის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული დარღვევა ბანკს უფლებას ანიჭებს დაუყოვნებლივ გამოითხოვოს სესხი კომპანიისგან. კომპანიას ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის არ მოუპოვებია ბანკისგან პირობის დარღვევის გამო პატიების წერილი.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ექვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. მიუხედავად ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობებისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შემდეგი მიზეზების გამო:

- 2024 წელს მთლიანი სრული ზარალი და აკუმულირებული ზარალები გამოიწვია 2023 წელს მომხდარი თაღლითობის შედეგად მარნეულის ფილიალში არსებული ოქროს სესხების ჩამოწერამ ღირებულებით 229 ათასი ლარი. რომ არა აღნიშნული ფაქტი, კომპანია 2024 წელსაც დაასრულებდა მოგებით;
- ფილიალების დახურვა გადაწყდა ხარჯების ოპტიმიზაციის გამო. თბილისში არსებული სერვის ცენტრები ქუჩების დაგეგმარების ცვლილების გამო, არსებული ფილიალები იყო არამომგებიანი;
- საჭიროების შემთხვევაში, დაკავშირებული მხარეები მზად არიან კომპანიაში შემოიტანონ დამატებითი სახსრები;
- იგეგმება ერთ-ერთ დამფუძნებელთან არსებული სუბორდინირებული სესხის ვადის გახანგრძლივება, რომლის სახელშეკრულებო ვადა იწურება 2025 წლის აპრილში;
- დამატებითი სახსრების საჭიროების შემთხვევაში, კომპანია დაიწყებს აქტიურ სამუშაოებს ძირითად საშუალებებში არსებული შენობის გასაყიდად. შენობა კომერციულად მიმზიდველ ადგილას მდებარეობს და კომპანია იმედოვნებს, გაყიდვასთან დაკავშირებით არ შეექმნება პრობლემა;
- რაც შეეხება ბანკის შეზღუდვებს, კომპანია ყოველთვის დროულად ემსახურება სესხს და იხდის ვალდებულებებს, ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ბანკს არ გაუზრდია სესხზე პროცენტი და არ მოუთხოვია სესხის დაუყოვნებლივ გადახდა. ხელმძღვანელობა არც მომავალში მოელის აღნიშნული რისკის მატერიალიზებას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა დღის წესრიგის გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვარიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსი არ არსებობს გრძელვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების განხორციელების შემდგომი განხილვისას, 2024 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში. ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

► ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე; ► ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

► ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს იმაზე, თუ როგორ აღრიცხავენ საწარმოები ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტას და როგორ ხდება ფინანსური აქტივების კლასიფიცირება. ცვლილებები საშუალებას აძლევს საწარმოს ვადაზე ადრე მიიღოს მხოლოდ ცვლილებები, რომლებიც ეხება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შესაბამის ახსნა-განმარტებებს, ხოლო დანარჩენი ცვლილებები გაითვალისწინოს მოგვიანებით. ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ცვლილებები ადრეულ პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობა) დაკავშირებული ან მსგავსი მახასიათებლები.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესებები შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს, აგრეთვე სტანდარტების მოთხოვნებს შორის შეუთავსებლობებს. მოცემული ცვლილებები თავმოყრილია ერთ დოკუმენტში. წლიური გაუმჯობესებები მოიცავს:

- ▶ ჰეჯირების აღრიცხვა მათთვის, ვინც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს (შესწორებები IFRS 1-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად მიღება);
- ▶ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის გადავადებული სხვაობის აღრიცხვასთან დაკავშირებით. (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი (ფასს 7-ის ცვლილებები);
- ▶ შესავალი და საკრედიტო რისკის გამჟღავნება (ფასს 7-ის დანერგვის სახელმძღვანელოში ცვლილებები);
- ▶ საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ ტრანზაქციის ღირებულება (ფასს 9-ში შესწორებები);
- ▶ 'დე ფაქტო აგენტის' განსაზღვრა (ფასს 10-ში შესწორებები);
- ▶ დანახარჯმეთოდი (ბასს 7-ში შესწორებები);

საბოლოო ცვლილებები გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში.

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). 2024 წლის 18 დეკემბერს IASB-მ გამოსცა ცვლილებები, რათა გაეუმჯობესებინა ფინანსური აღრიცხვა კომპანიების მიერ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად სტრუქტურირებულია როგორც ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები (PPAs). ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებები საწარმოებს ეხმარება უზრუნველყონ ელექტროენერგიის მიღება ქარისა და მზის ენერგიის წყაროებიდან. მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები შეიძლება ადეკვატურად არ ასახავდეს, თუ როგორ აისახება ამ კონტრაქტების ეფექტი კომპანიის მუშაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს ამინდის პირობებთან დაკავშირებული უკონტროლო ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ, IASB-მ შეიტანა მიზანმიმართული ცვლილებები ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებში და ფასს 7 ფინანსურ ინსტრუმენტებში კერძოდ: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები, რათა გააუმჯობესოს ამ ხელშეკრულებების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე;

ეს ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ცვლილებების ადრეული გამოყენება დასაშვებია. თუმცა, გარკვეული იურისდიქციებისთვის, შესწორებების გამოყენებამდე საჭიროა მათი დამტკიცება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება ცვლის ბასს 1-ს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას და სავალდებულოა წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

► მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ. ფასს 18-ს შემოაქვს მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლისა და ხარჯის ერთეულების კლასიფიცირებისთვის ხუთი კატეგორიის მიხედვით. ეს კლასიფიკაცია იწვევს გარკვეული შუალედური ჯამების წარდგენას, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლისა და ხარჯის ყველა იმ ერთეულის ჯამი, რომლებიც მოიცავს ახალ სავალდებულო „საოპერაციო მოგება-ზარალს“ შუალედურ ჯამს.

► ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.

► ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს, შესრულებული კორექტირებით (მაგ., „კორექტირებული მოგება ან ზარალი“). საწარმოებს მოეთხოვებათ ფინანსურ ანგარიშგებაში MPM-ების გამჟღავნება, მათ შორის MPM-ების რეკონსილაცია ფასს სტანდარტების შესაბამისად გამოთვლით ჯამებთან ან შუალედურ ჯამებთან.

ფასს 18-ის გამოქვეყნების მიზანია გააუმჯობესოს კომპანიების ანგარიშგებების შედარება და გამჭვირვალობა. ფასს 18-მა ასევე გამოიწვია მცირე ცვლილებები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. დაინტერესებულმა მხარეებმა სთხოვეს IASB-ს, უფლება მისცეს შვილობილ კომპანიას, ანგარიშვალდებულებას დედა კომპანიის მიმართ, რომელიც იყენებს ფასს სტანდარტებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, გამოიყენოს ფასს სტანდარტების შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები საკუთარი ფინანსური ანგარიშგებისთვის. ამ გამოხმაურების გათვალისწინებით, IASB-მ დაამატა პროექტი, რათა შეექმნა საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე შვილობილი კომპანიების გამჟღავნების გამარტივებული მოთხოვნები. პროექტი დასრულდა ფასს 19-ის გამოცემით, რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. მაგალითად, ფასს 19-ის მიხედვით, საწარმო, რომელსაც აქვს ოპერაციები ფასს 2-ის აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფარგლებში, არ გამოიყენებს ფასს 2.44-52-ის გამჟღავნების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ამის ნაცვლად, საწარმო გაამჟღავნებს მხოლოდ ფასს 19-ის 31-34 პარაგრაფებში მოცემულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ღონისძიებების აღწერას, აქციების ოფციონების რაოდენობას და საშუალო შეწონილ ფასებს, როგორც ხდება მათი სამართლიანი ღირებულების შეფასება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების დროს და სხვა ზოგად ინფორმაციას ფასს 2-ის ფარგლებში ოპერაციების შესახებ. ფასს 2 ამჟამად შეიცავს 991 სიტყვას მის გამჟღავნების მოთხოვნებში, მაშინ როცა ფასს 19 შეიცავს მხოლოდ 250 სიტყვას, იმ ახსნა-განმარტებითი შენიშვნებთან მიმართებაში, რომელიც ეხება ფასს 2-ის განმარტებებს. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

► საწარმო არის შვილობილი კომპანია (როგორც განსაზღვრულია IFRS 10-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დანართი ა-ში);

► საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და

► საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს. საწარმოს აქვს საჯარო ანგარიშვალდებულება, თუ:

► მისი სასესხო ან კაპიტალის ინსტრუმენტები ივაჭრება საჯარო ბაზარზე ან ასეთი ინსტრუმენტების გამოშვების პროცესშია; ან

► იგი ფლობს ფართო ჯგუფის გარე პირებისთვის აქტივებს ფიდუციური (მართვის) უფლებამოსილებით, როგორც თავის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას;

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვის შეფასება - ქვემოთ მოცემულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი;
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კომპანია, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით;
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

უზრუნველყოფის საგნის ღირებულების შეფასება - ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სფეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის, რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღრიცხავს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ვალდებულებები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამორტიზებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ასევე აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

კომპანიას არ აქვს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური ინსტრუმენტები.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. აღნიშნულში შედის ყველა წარმოებული ფინანსური აქტივი.

კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა წარმოებული ფინანსური აქტივებისა.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნესმოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნესმოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია FVTPL-ში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ კომპანიამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, კომპანიამ აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც FVTPL, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება (ე.ი. ამოღებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის („მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“) დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან FVOCI-ი.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ, სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

„მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელი ფასს 9-ის მიხედვით ზარალს აღრიცხავს ფინანსური აქტივის წარმოქმნისთანავე. ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: კომპანია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. კომპანია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვადაგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადაწევა შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	1 ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
ავტომობილი	0-30	31-90	>90
ოქრო	0-30	31-90	>90

კომპანია ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 31 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) სესხის რესტრუქტურირება;
- გ) მესამე მხარის მიერ უზრუნველყოფილ ქონებაზე იურიდიული დავის წამოწყება;
- დ) მსესხებლის, ან თანამსესხებლის მიმართ სარჩელის აღძვრა;
- ე) მსესხებლის მიერ სამუშაო ადგილის დაკარგვა;
- ვ) მსესხებლის ბიზნესის დიდი წილის განადგურება;
- ზ) ბიზნესის იმ სექტორის მნიშვნელოვანი გაუარესება, სადაც საქმიანობს მსესხებელი.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ა) ვადაგადაცილება არის 0-დან 30 დღემდე;
- ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

რესტრუქტურირებული სესხები არ ბრუნდებიან 1-ელ ეტაპზე.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე და მათი დაბრუნება სხვა ეტაპებზე აღარ ხდება.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- გ) უზრუნველყოფის საგნის განადგურება ან დაკარგვა;
- დ) მსესხებლის ბიზნესის გაკოტრება ან ლიკვიდაცია.

დეფოლტის განმარტება თანხედრშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით ვადაგადაცილების შესახებ. კომპანია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

გაცემული სესხის რესტრუქტურირება

რესტრუქტურირების ოპერაცია/ტრანზაქცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულების ფარგლებში. კომპანიასა და მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და პროგრამულად იმავე სესხისთვის ხდება ახალი გრაფიკის აგება (გადაანგარიშება).

კომპანიისათვის სესხის რესტრუქტურირება რისკის ცვლილების მაჩვენებელია. რესტრუქტურირებული სესხები არ ექვემდებარება პირდაპირ მე-3 სტადიაში გადაყვანას, რადგან ასეთი ტიპის მოდიფიკაციები არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან. შესაბამისად, რესტრუქტურირებული სესხები მე-2 სტადიაში ხდება და პირველ სტადიაში აღარ ბრუნდება.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

კომპანიის აზრით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და
- არ არსებობს არასასურველი არასტაბილურობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფასურების ზარალი 12 თვიანი PD-დან არსებობის მანძილის PD-ზე გადასვლის დროს.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

კომპანიამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი;
- უმუშევრობის დონის კოეფიციენტი.

მიმდინარე პერიოდში მაკროეკონომიკურ ფაქტორებს არ აქვს არსებითი გავლენა საკრედიტო ზარალების ანარიცხზე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაციის განჭვრეტა

კომპანია ბოლო 5 წლის ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით ყოველწლიურად აფასებს დეფოლტის ალბათობის კორელაციას მაკროეკონომიკურ ცვლადებთან (მშპ-ს ზრდა, ინფლაცია) მიმართებაში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას ითვალისწინებს კონკრეტული მაკროეკონომიკური ცვლადის სცენარების შესახებ არსებულ საპროგნოზო ინფორმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციასთან და მშპ-ს ზრდასთან კორელაცია არის 0.3-ზე მეტი და -0.5-ზე ნაკლები, შესაბამისად. კომპანია იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საბაზო, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს და ამათგან საბაზო სცენარს ანიჭებს 50%-იან ალბათობას, ხოლო ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებს 25%-იან ალბათობებს. კომპანია იყენებს ვასილკის მოდელს საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებისას, მოსალოდნელი დეფოლტის დაანგარიშების დროს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა ადგილი ძლიერ კორელაციას კომპანიის დეფოლტის კოეფიციენტებსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის, ამიტომ კომპანიას არ აქვს გათვალისწინებული ეს ფაქტორები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დაანგარიშებისას.

ECL-ის გაზომვა

ECL-ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი, შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს ბოლო 5 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის და გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის ერთი კალათიდან მეორე კალათაში გადანაცვლების ალბათობას. მიგრაციის მატრიცა იყოფა შემდეგ კალათებად:

კალათი	ვადაგადაცილებული დღეები	რესტრუქტურისაციის სტატუსი	ეტაპი
1	დახურული		
2	0	არა	I
3	1-30	არა	I
4	31-60	არა	II
5	61-90	არა	II
6	0-90	დიახ	II
7	>90	დიახ	III
8	>90	არა	III

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს დეფოლტის შემთხვევაში უპირობოდ ენიჭება 100%-იანი ალბათობა.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინასწარ დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია დაანგარიშდება ყველა სეგმენტისთვის ცალ-ცალკე და გამოიყენება პორტფელის იმ მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს საკრედიტო რისკს დეფოლტის მომენტში. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ დეფოლტი ხდება წლის შუა პერიოდში. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, პროცენტის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

გამოთვლაში ასევე მონაწილეობს ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით დათვლილი სესხის წინასწარ დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც ამცირებს არსებული სესხის ბალანსს დეფოლტის დადგომამდე (იგი გამოთვლაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში თუ სესხის საშუალო ვადიანობა აღემატება 12 თვეს). დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტრაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 5 წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოძინებები წლის კრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, კომპანია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

ფინანსური ვალდებულებები

ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნეს მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლის სააღრიცხვო პოლიტიკაც მოცემულია ქვემოთ.

კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს (მათ შორის, სუბორდინირებულ სესხებს).

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანერგვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეიტებს მაშინ, როდესაც ურთიერთგადასახდელი იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდით, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მოიცავს უცხოური ვალუტის ფორვარდის კონტრაქტებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით მისი ძალაში შესვლის დღეს და შემდგომში მისი გადაფასება ხდება რეალური ღირებულებით. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება აქტივად, თუ მისი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, თუ მისი რეალური ღირებულება უარყოფითია.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება არის აქტივის აღიარების დღეს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების მოცულობა. თუ აქტივის შემენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება პროცენტის თანხის კაპიტალიზაცია შემენილი აქტივის ღირებულებაზე.

თავდაპირველი აღირების შემდეგ, აქტივი ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი	5
ოფისის აღჭურვილობა	5

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. აქტივების გამოყენების უფლება მიმდინარე და შესადარის პერიოდების განმვალობაში იცვითებოდა 2-5 წლის ვადაზე.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული აქტივები მოიცავს არაფინანსურ აქტივებს, რომელიც კომპანიამ მიიღო ვადაგადაცილებული სესხების სანაცვლოდ. ამ აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი აღრიცხვა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. დასაკუთრებული აქტივები, რომლებიც კლასიფიცირებულია მარაგებად, შეფასებულია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

საგადასახადო ვალდებულებები, მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში განსხვავდება მათი საგადასახადო კუთხით შეფასებული ღირებულებისგან.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება შეზღუდულია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა წარმოიშვას დასაბეგრი მოგება, და მან გააჩივრებლოს სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის.

აქტივის ან ვალდებულების თანხა განისაზღვრება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში, და მოსალოდნელია მისი გამოყენება გადავადებული საგადასახადო აქტივის/ვალდებულების დაფარვის მომენტში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მიღებული სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება შესყიდვის ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, კომპანია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით, ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი წარმოიშვა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შევსებულია კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

საპროცენტო შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებთ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პუნქტში „საპროცენტო შემოსავლის აღიარება“.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არ არის მოსალოდნელი.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც კომპანია მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ქვემოთ:

<i>ფინანსური აქტივები</i>	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	376,931	96,857
უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის	44,464	58,244
გაცემული სესხები	1,492,995	2,609,277
სულ ფინანსური აქტივები	1,914,390	2,764,378
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
მიღებული სესხები	855,598	1,545,400
სუბორდინირებული სესხები	906,225	826,900
საიჯარო ვალდებულებები	73,247	78,259
გადასახდელი დივიდენდები	11,667	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,846,737	2,450,559

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) რისკების მართვაში. კომპანიისთვის საკრედიტო რისკი დგება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ ასრულებს ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ სასესხო ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა მდგომა, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიაში წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, შემუშავებულია საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც საკრედიტო კომიტეტი ახორციელებს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანია სესხებს გასცემს ქართულ ლარში (აშშ დოლარში სესხები გაიცემოდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2016 წლის 29 ოქტომბრის მიღებულ გადაწყვეტილებამდე). მიღებული სესხები კი წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ვალუტაში, ასევე, აშშ დოლარში. აქედან გამომდინარე, სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში.

თუმცა, კომპანია სავალუტო რისკების შემცირების მიზნით იყენებს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ფორვარდული კონტრაქტები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,154	373,777	376,931
უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის	-	44,464	44,464
გაცემული სესხები	1,474,828	18,167	1,492,995
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,477,982	436,408	1,914,390
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	732,848	122,750	855,598
სუბორდინირებული სესხები	-	906,225	906,225
საიჯარო ვალდებულებები	11,777	61,470	73,247
გადასახდელი დივიდენდები	11,667	-	11,667
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	756,292	1,090,445	1,846,737
ღია საბალანსო პოზიცია	721,690	(654,037)	67,653
 ფორვარდული უცხოური ვალუტის კონტრაქტების ეფექტი	 (561,280)	 576,540	 15,260

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	24,972	68,910	2,975	96,857
უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის	-	58,244	-	58,244
გაცემული სესხები	2,585,709	23,568	-	2,609,277
მთლიანი ფინანსური აქტივები	2,610,681	150,722	2,975	2,764,378
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	855,550	689,850	-	1,545,400
სუბორდინირებული სესხები	-	826,900	-	826,900
საიჯარო ვალდებულებები	78,259	-	-	78,259
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	933,809	1,516,750	-	2,450,559
ღია საბალანსო პოზიცია	1,676,872	(1,366,028)	2,975	313,819
 ფორვარდული უცხოური ვალუტის კონტრაქტების ეფექტი	 (1,344,700)	 1,355,860	 -	 11,160

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ცნობილი უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 20%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო რისკის მგრძნობიარობა წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე დამყარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024	დოლარის გავლენა			
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი		
	20%	– 20%		
მოგება/(ზარალი)	(15,499)	15,499		
2023	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	20%	– 20%	20%	– 20%
მოგება/(ზარალი)	(2,034)	2,034	595	(595)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 3 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	438,411	432,022	43,390	-	913,823
სუბორდინირებული სესხები	198,315	722,202	-	-	920,517
საიჯარო ვალდებულებები	9,920	29,761	39,682	2,000	81,363
გადასახდელი დივიდენდები	11,667	-	-	-	11,667
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	658,313	1,183,985	83,072	2,000	1,927,370

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 2 წლამდე	2-დან 3 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	837,684	296,137	393,446	180,207	1,707,474
სუბორდინირებული სესხები	148,713	31,123	702,181	-	882,017
საიჯარო ვალდებულებები	27,000	53,000	2,000	-	82,000
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	1,013,397	380,260	1,097,627	180,207	2,671,491

საჭიროების შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია გაზარდოს საკრედიტო ლიმიტი და მიიღოს დაფინანსება ბანკისაგან.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენება საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელიც შეფასებულია მე-2 დონით რეალური ღირებულების იერარქიაში, მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი

გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი

2024	2023
611,864	888,348
611,864	888,348

საპროცენტო ხარჯი

ბანკებისგან მიღებულ სესხებზე

სუბორდინირებულ სესხებზე

ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე

საიჯარო ვალდებულებებზე

2024	2023
(137,494)	(140,406)
(43,231)	(41,308)
(17,310)	(47,241)
(3,691)	(12,315)
(201,726)	(241,270)

წმინდა საპროცენტო შემოსავალი

410,138	647,078
----------------	----------------

7. სხვა საოპერაციო შემოსავალი

შემოსავალი ჯარიმებიდან

დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება

შემოსავალი ადრე დაფარვისა და რესტრუქტურიზაციის

საკომისიოებიდან

სხვა შემოსავალი

2024	2023
142,218	190,675
18,807	-
12,622	16,652
7,366	1,306
181,013	208,633

8. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასის ხარჯი

პრემია

დაზღვევა

2024	2023
(171,545)	(223,781)
(12,350)	(22,365)
(4,810)	(6,670)
(188,705)	(252,816)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
მონაცემთა ბაზებისა და პროგრამების გამოყენების ხარჯები	(56,897)	(56,779)
აუდიტორული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(37,570)	(32,121)
სასამართლო და აღსრულების ხარჯები	(33,313)	(19,207)
ჯარიმის ხარჯი*	(16,075)	-
ოფისის მოვლის ხარჯი	(15,794)	(5,080)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი	(11,069)	-
კომუნალური ხარჯი	(8,441)	(13,631)
რეკლამის ხარჯები	(7,654)	(16,368)
დაცვის ხარჯები	(7,437)	(12,322)
კომუნიკაციის ხარჯი	(3,666)	(4,678)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(1,160)	(8,550)
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ხარჯი	-	(59,677)
სხვა ხარჯი	(13,397)	(6,593)
	(212,473)	(235,006)

აუდიტორული მომსახურების ხარჯმა 2024 წელს შეადგინა 25,849 ლარი (2023: 24,676 ლარი).

*2024 წელს დაკისრებული ჯარიმა წარმოადგენს "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსებისა და ინფორმაციის წარმოდგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 31 მაისის #61/04 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული ანგარიშგებებით საქართველოს ეროვნული ბანკისთვის არასწორი ინფორმაციის მიერ წარდგენის რამდენიმე ფაქტს.

10. მოგების გადასახადის ხარჯი

	2024	2023
მიმდინარე გადასახადი	(23,225)	(44,547)
დროებითი სხვაობების ეფექტი	9,622	23,241
მოგების გადასახადის ხარჯი	(13,603)	(21,306)

რეკონსილაცია ფაქტობრივ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ფორმით:

	2024	2023
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	(182,025)	143,240
მოგების გადასახადის განაკვეთი	20%	20%
თეორიული მოგების გადასახადი	36,405	(28,648)
მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილების ეფექტი	-	12,433
გადავადებულ მოგების გადასახადზე	(50,008)	(5,091)
სხვა მუდმივი სხვაობების ეფექტი	(13,603)	(21,306)

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში (უცხოურ ვალუტაში)	373,777	21,657
ფული ბანკში (ლარში)	3,154	7,016
ფული სალაროში	-	68,184
	376,931	96,857

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

12. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	1,565,048	2,657,425
დარიცხული პროცენტი	60,931	63,609
	1,625,979	2,721,034
გამოკლებული: საექვო ვალების ანარიცხები	(132,984)	(111,757)
	1,492,995	2,609,277

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საბალანსო და რეალური ღირებულება ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებოდა.

2023 წლის ბოლოს კომპანიამ ერთ-ერთ ფილიალში (მარნეულის ფილიალში) აღმოაჩინა თაღლითობის ფაქტი, რომელიც ეხებოდა ოქროთი უზრუნველყოფილ გაცემულ სესხებს. კერძოდ, 2023 წელს კონტროლის განმახორციელებელი თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის გამო, მოლარეს გაუჩნდა შესაძლებლობა თაღლითურად გაეცა სესხები და ასევე, გარკვეული გაცემული სესხების უზრუნველყოფა გადაეგირავებინა სხვა ფინანსურ ინსტიტუტში.

2024 წელს, ვადაგადაცილებულ ოქროს სესხებზე, კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, მსესხებლებს გაეგზავნათ შეტყობინებები, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში, ქისაში არსებული ოქრო გაიყიდებოდა. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც შეტყობინებებს რეაგირება არ მოჰყოლია, დაიწყო სესხების შესაბამისი ქისის რეალიზაციის პროცედურები, თუმცა აღმოჩნდა, რომ ქისებში არსებული ნივთები არ იყო შესაბამისობაში რეალობასთან. მვირფასეულობის ნაცვლად ქისების ნაწილში მოთავსებული იყო ბიჟუტერია, ნაწილი კი იყო სრულიად ცარიელი.

აღნიშნული ფაქტის გამო, ვერ მოხდა მათი რეალიზაცია და სესხების დაფარვა. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ სესხების ჩამოწერის შესახებ. კომპანიამ აღიარა სესხების გაუფასურების ზარალი 229 ათასი ლარის ოდენობით.

ამასთანავე, კომპანია თვლის, რომ ვერ შეაფასებს თაღლითობის ფაქტის სრულ ეფექტს გამოძიების დასრულებამდე.

გაცემული სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების უზრუნველყოფების შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ქონებით:		
უძრავი ქონება	533,148	801,563
ავტოტრანსპორტი	918,743	1,328,848
ოქრო	174,088	590,623
გამოკლებული: საეჭვო ვალეების ანარიცხები	(132,984)	(111,757)
სულ გაცემული სესხები	1,492,995	2,609,277

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სესხების სახეობა	მთლიანი თანხა	ECL			მთლიანი ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
		ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3			
31 დეკემბერი 2024							
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	533,148	(346)	(775)	(13,153)	(14,274)	518,874	2.68%
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	918,743	(5,121)	(4,479)	(109,110)	(118,710)	800,033	12.92%
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	174,088	-	-	-	-	174,088	0.00%
სულ გაცემული სესხები	1,625,979	(5,467)	(5,254)	(122,263)	(132,984)	1,492,995	8.18%

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2024	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	428,858	(4,445)	424,413	1.04%
-30 დღე ვადაგადაცილება	33,477	(138)	33,339	0.41%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	20,817	(236)	20,581	0.00%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	-	-	-	0.00%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	49,996	(9,455)	40,541	18.91%
სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	533,148	(14,274)	518,874	2.68%

ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2024	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	692,073	(5,121)	686,952	0.74%
-30 დღე ვადაგადაცილება	14,506	(342)	14,164	2.36%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	12,039	(848)	11,191	7.04%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	20,722	(3,289)	17,433	15.87%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	179,403	(109,110)	70,293	60.82%
სულ ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	918,743	(118,710)	800,033	12.92%

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2024	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	168,358	-	168,358	0.00%
-30 დღე ვადაგადაცილება	4,573	-	4,573	0.00%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	1,157	-	1,157	0.00%
სულ ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	174,088	-	174,088	0.00%

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების სახეობების მიხედვით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სესხების სახეები

31 დეკემბერი 2023	მთლიანი თანხა	ECL			მთლიანი ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
		ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3			
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	801,563	(2,777)	(2,511)	(588)	(5,876)	795,687	0.73%
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	1,328,848	(19,770)	(11,991)	(74,120)	(105,881)	1,222,967	7.97%
ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	590,623	-	-	-	-	590,623	0.00%
სულ გაცემული სესხები	2,721,034	(22,547)	(14,502)	(74,708)	(111,757)	2,609,277	4.11%

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2023	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	768,152	(3,233)	764,919	0.42%
-30 დღე ვადაგადაცილება	4,133	(69)	4,064	1.67%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	13,448	(545)	12,903	0.00%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	12,980	(1,441)	11,539	11.10%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	2,850	(588)	2,262	20.63%
სულ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	801,563	(5,876)	795,687	0.73%

ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2023	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	1,105,294	(19,771)	1,085,523	1.79%
-30 დღე ვადაგადაცილება	73,415	(5,614)	67,801	7.65%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	17,961	(3,496)	14,465	19.46%
-61-90 დღე ვადაგადაცილება	9,434	(2,880)	6,554	30.53%
-90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	122,744	(74,120)	48,624	60.39%
სულ ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	1,328,848	(105,881)	1,222,967	7.97%

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები

31 დეკემბერი 2023	მთლიანი თანხა	ECL	სესხები (ნეტო)	ECL %
-არა ვადაგადაცილებული	395,035	-	395,035	0.00%
-30 დღე ვადაგადაცილება	169,186	-	169,186	0.00%
-31-60 დღე ვადაგადაცილება	26,402	-	26,402	0.00%
სულ ოქროთი უზრუნველყოფილი სესხები	590,623	-	590,623	0.00%

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2024 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფას 9-ის მიხედვით	22,548	14,502	74,707	111,757
ახალი გაცემული სესხები	6,071	-	-	6,071
გადატანა პირველ ეტაპზე	1,207	(1,207)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(18,326)	18,326	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(99,849)	99,849	-
დაფარული სესხები	(7,564)	(5,132)	(33,781)	(46,477)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(243,202)	(243,202)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	9,205	9,205
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	1,531	78,614	215,485	295,630
ბალანსი წლის ბოლოს	5,467	5,254	122,263	132,984

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2023 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფას 9-ის მიხედვით	27,444	17,151	81,297	125,892
ახალი გაცემული სესხები	26,872	-	-	26,872
გადატანა პირველ ეტაპზე	3,232	(3,232)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(79,489)	79,489	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(100,842)	100,842	-
დაფარული სესხები	(17,419)	(20,672)	(30,241)	(68,332)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(32,055)	(32,055)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	61,908	42,608	(45,136)	59,380
ბალანსი წლის ბოლოს	22,548	14,502	74,707	111,757

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა 2024 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

<i>სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა</i>	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	2,077,510	517,930	125,594	2,721,034
ახალი გაცემული სესხები	1,006,677	-	-	1,006,677
გადატანა პირველ ეტაპზე	347,894	(347,894)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(420,375)	420,375	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(358,406)	358,406	-
დაფარული სესხები	(1,847,386)	(20,122)	(1,054)	(1,868,562)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(243,202)	(243,202)
ადრე ჩამოწერილი სესხებიდან მიღებული თანხები	-	-	9,205	9,205
სავალუტო კურსის ცვლილებებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	827	-	-	827
ბალანსი წლის ბოლოს	1,165,147	211,883	248,949	1,625,979

სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა 2023 წლისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

<i>სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების მოძრაობა</i>	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი ECL	სრული ECL- არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული ECL- საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ბალანსი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	2,177,338	473,165	129,702	2,780,205
ახალი გაცემული სესხები	2,086,485	-	-	2,086,485
გადატანა პირველ ეტაპზე	161,634	(161,634)	-	-
გადატანა მეორე ეტაპზე	(705,097)	705,097	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(176,260)	176,260	-
დაფარული სესხები	(1,643,322)	(322,438)	(148,313)	(2,114,073)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(32,055)	(32,055)
სავალუტო კურსის ცვლილებებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი	472	-	-	472
ბალანსი წლის ბოლოს	2,077,510	517,930	125,594	2,721,034

სესხის ტიპიდან და მოცულობიდან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი მერყეობს წლიური 18%-დან 36%-მდე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს საგადასახადო პორტალის გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 52,547 ლარი (აქტივი) და 49,933 ლარი (აქტივი), შესაბამისად.

14. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დასაკუთრებული ქონება**	81,177	166,099
უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის*	44,464	58,244
სარეალიზაციოდ გამზადებული ოქრო	13,726	-
გაცემული ავანსები	-	19,580
სხვა აქტივები	1,997	609
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების რეზერვი:	(59,677)	(59,677)
	81,687	184,855

* უზრუნველყოფა ფორვარდული კონტრაქტებისთვის წარმოადგენს ფულად უზრუნველყოფას, რომელიც ჩამოჭრილია ბანკის მიერ და უზრუნველყოფს კომპანიას კონტრაქტის ვადის გასვლისას. 2024 წლის ბოლოს აქტიურ ყველა ფორვარდულ კონტრაქტს ვადა გასდის 2025 წლის იანვარში.

** საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიას შეუძლია დაისაკუთროს და გაყიდოს ვადაგადაცილებულ სესხებზე უზრუნველყოფად ჩადებული უძრავი ქონებები. 2024 და 2023 წელს დასაკუთრებული ქონება განისაზღვრებოდა რეალური ღირებულებით, რომელიც შეფასებულია კომპანიის შიდა შემფასებლის მიერ უძრავი ქონების საბაზრო ფასების შედარების შედეგად. დაკვირვებითი საბაზრო ფასები გამოიყენება შეფასებისთვის და თუ საჭიროა, შესაბამისი კორექტირებები შეიტანება ნებისმიერი სახის განსხვავებაში, ადგილმდებარეობაში ან მდგომარეობაში შეფასებული აქტივისა. ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

15. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი

ფასს-ებსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისა და საგადასახადო ბაზების მიხედვით არსებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის.

დროებითი სხვაობები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2024	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში
ძირითადი საშუალებები	3,224	-	3,224	(4)
არამატერიალური აქტივები	2,379	-	2,379	545
სხვა აქტივები	11,935	-	11,935	-
სხვა ვალდებულებები	2,943	-	2,943	2,044
მიღებული სესხები	38,790	-	38,790	8,414
აქტივების გამოყენების უფლება	-	(14,564)	(14,564)	(374)
საიჯარო ვალდებულებები	14,649	-	14,649	(1,003)
საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	73,920	(14,564)	59,356	9,622
ურთიერთგადაფარვა	(14,564)	14,564	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი	59,356	-	59,356	9,622

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი (გაგრძელება)

დროებითი სხვაობები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	აქტივი	ვალდებულება	ნეტო თანხა	ცვლილება მოგებაში ან ზარალში
ძირითადი საშუალებები	3,228	-	3,228	1,243
არამატერიალური აქტივები	1,834	-	1,834	634
სხვა აქტივები	11,935	-	11,935	11,935
სხვა ვალდებულებები	899	-	899	(2,559)
მიღებული სესხები	30,376	-	30,376	11,897
აქტივების გამოყენების უფლება	-	(14,190)	(14,190)	10,531
საიჯარო ვალდებულებები	15,652	-	15,652	(10,440)
საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	63,924	(14,190)	49,734	23,241
ურთიერთგადაფარვა	(14,190)	14,190	-	-
წმინდა საგადასახადო აქტივი	49,734	-	49,734	23,241

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის გადავადებული მოგების გადასახადის ანგარიშზე არსებული ბრუნვა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთი 1 იანვარს	49,734	26,493
აღიარებული მოგება-ზარალში		
საგადასახადო სარგებელი	9,622	23,241
ნაშთი 31 დეკემბერს	59,356	49,734

16. იჯარები

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები სერვის-ცენტრების ფუნქციონირებისთვის და ასევე, ქირაობს ავტომობილს. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში.

იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 2-დან 3 წლამდე 2024 წლისთვის (2023: 1-დან 2 წლამდე). იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2024 წლისთვის შეადგენს წლიურ 8.95%-13.92% -ს და 2023 წლისათვის შეადგენდა წლიურ 6.76%-13.76% -ს იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით, შესაბამისად.

აქტივის გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება	სერვის- ცენტრები*	ავტომობილები	სულ
31 დეკემბერი 2022	154,153	10,652	193,591
ცვეთა	(89,290)	(4,566)	(95,046)
31 დეკემბერი 2023	64,863	6,086	164,805
შეფასებული ვადის ცვლილება	61,469	9,828	71,297
ცვეთა	(63,969)	(4,565)	(68,534)
გასვლა	(893)	-	(893)
31 დეკემბერი 2024	61,470	11,349	72,819

* 2024 წლის ბოლოს კომპანია მხოლოდ სათავო ოფისს ქირაობდა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულებები	სერვის-ცენტრები	ავტომობილები	სულ
31 დეკემბერი 2022	162,027	11,917	173,944
საპროცენტო ხარჯი	10,961	1,354	12,315
საიჯარო გადასახდელი	(102,000)	(6,000)	(108,000)
31 დეკემბერი 2023	70,988	7,271	78,259
შეფასებული ვადის ცვლილება	61,469	9,828	71,297
გასვლა	(1,750)	-	(1,750)
საპროცენტო ხარჯი	3,018	673	3,691
საიჯარო გადასახდელი	(72,250)	(6,000)	(78,250)
31 დეკემბერი 2024	61,475	11,772	73,247

17. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები*	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	444,278	34,731	71,222	47,142	11,916	609,289
შემოსვლა	3,750	-	1,969	-	-	5,719
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	448,028	34,731	73,191	47,142	11,916	615,008
შემოსვლა	-	-	-	3,158	-	3,158
გასვლა	-	-	(1,700)	(7,534)	-	(9,234)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	448,028	34,731	71,491	42,766	11,916	608,932
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(32,697)	(68,541)	(43,345)	(10,664)	(155,247)
ცვეთა	-	(2,034)	(2,540)	(2,181)	(860)	(7,615)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(34,731)	(71,081)	(45,526)	(11,524)	(162,862)
ცვეთა	-	-	(1,915)	(2,409)	(392)	(4,716)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	1,700	7,534	-	9,234
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(34,731)	(71,296)	(40,401)	(11,916)	(158,344)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 31 დეკემბერს	448,028	-	2,110	1,616	392	452,146
2024 წლის 31 დეკემბერს	448,028	-	195	2,365	-	450,588

*შენიშვნები მოიცავს 2015 წლის 3 ნოემბერს შეძენილ შენობას სათაო ოფისისთვის. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ქონება წარმოადგენდა სს "საქართველოს ბანკისგან" მიღებული სესხის (ჯამურად 419,307 ლარის და 669,855 ლარის ოდენობით, შესაბამისად) უზრუნველყოფას. წლის განმავლობაში აღნიშნული აქტივი ექსპლუატაციაში არ შესულა.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებსაც კომპანია იყენებს საოპერაციო საქმიანობაში, მაგრამ არის სრულად გაცვეთილი, შეადგენს 104,282 ლარს (2023: 113,807 ლარი).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*	14,717	4,494
გადასახდელი დივიდენდები	11,667	-
სხვა ვალდებულებები	1,178	1,504
	27,562	5,998

*სავალუტო რისკი წარმოიშობა როდესაც კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს მისი ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში. როდესაც ეს რისკი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, ორგანიზაცია შედის დოლარი/ლარის ფორვარდულ კონტრაქტში ადგილობრივ ბანკებთან.

კონტრაქტების ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 200,000 დოლარი, რაც ნიშნავს, რომ კომპანიამ მომავალში აღნიშნული თანხა უნდა შეიძინოს 576,540 ლარით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონტრაქტების ნაშთი იყო 500,000 დოლარი, რომელიც კომპანიას უნდა შეეძინა 1,349,330 ლარად.

ფორვარდული კონტრაქტების მთლიანი ხარჯი და საბაზრო ღირებულების ცვლილება 2024 წლის განმავლობაში იყო 49,213 ლარი, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 101,065 ლარი.

19. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიზიკური პირებისგან	121,812	690,160
ბანკებისგან	733,786	855,240
	855,598	1,545,400

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებიდან ყველა სასესხო ვალდებულება მიღებულია აშშ დოლარში. უცხოურ ვალუტაში ნომინირებული სესხების საპროცენტო განაკვეთია 6%. სს "საქართველოს ბანკიდან" მიღებულია სამი სესხი (2023: ოთხი სესხი) ლარში, საპროცენტო განაკვეთით 13.5-14.2% (2023: 12.5-14.2%) შუალედში.

2024 წელს კომპანია არღვევს სს "საქართველოს ბანკისგან" დაწესებულ ფინანსურ შეზღუდვას, რომლის მიხედვითაც კომპანიას არ შეეძლო 50,000 ლარზე მეტი თანხის გატანა კაპიტალიდან ბანკის თანხმობის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიას არ აქვს მოპოვებული პატიების წერილი. აღნიშნული სესხის მოცულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 420,594 ლარს, რომელიც წარდგენილია ანგარიშგებაში, როგორც მოთხოვნამდე სესხი. 2023 წელს კომპანია აღნიშნულ შეზღუდვას აკმაყოფილებდა.

ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ფარგლებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შეუძლია დამატებით 585,000 ლარის ათვისება. საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას ვადა 2025 წლის 25 თებერვალს გასდის. მიმდინარეობს აღნიშნული ხელშეკრულების განახლების პროცესი.

სასესხო ვალდებულებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოკლევადიანი ნაწილი		გრძელვადიანი ნაწილი	
სასესხო ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხის ძირი	846,455	1,013,993	-	514,517
საპროცენტო ვალდებულება	9,143	16,890	-	-
	855,598	1,030,883	-	514,517

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. მიღებული სესხები (გაგრძელება)

წლის განმავლობაში სესხების მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ბანკები და ფიზიკური პირები, მათ შორის სუბორდინირებული სესხი	
	2024	2023
1 იანვრისთვის	2,372,300	2,518,527
ფულადი მოძრაობა		
სესხის აღება	2,200,812	3,557,375
გადახდილი ძირი	(2,890,300)	(3,720,654)
გადახდილი პროცენტი	(164,696)	(205,057)
არაფულადი მოძრაობა		
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	198,035	228,955
გადაფასების ეფექტი	45,672	(6,846)
31 დეკემბრისთვის	1,761,823	2,372,300

ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფად გამოყენებულია კომპანიის ძირითად საშუალებებში არსებულ შენობასთან ერთად დაკავშირებული მხარის ქონებები. ასევე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები უზრუნველყოფილი იყო დამფუძნებლების თავდებობებით. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

მიღებული სესხების ვადიანობის ანალიზისთვის იხილეთ მე-5 შენიშვნა.

20. სუბორდინირებული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხის ძირი	718,541	688,486
დარიცხული პროცენტი	187,684	138,414
	906,225	826,900

კომპანიამ 2020 წლის 28 აპრილს აიღო სუბორდინირებული სესხი დამფუძნებლისგან - ლია მალრადისგან. სესხი წარმოდგენილია აშშ დოლარში.

სესხის ვადა განსაზღვრულია 2025 წლის 28 აპრილამდე. სესხის პროცენტი შეადგენს წლიურ 6%-ს. პროცენტის გადახდა ხელშეკრულების მიხედვით უნდა მოხდეს წლიურად, თუმცა არც 2024 და არც 2023 წელს გადასახდელი პროცენტის გადახდა კომპანიის მიერ არ მომხდარა.

გაკორტების შემთხვევაში აღნიშნული სესხის ძირისა და პროცენტის გადახდები ნაკლებ უპირატესია, ვიდრე სხვა კრედიტორებთან არსებული დავალიანების გადახდა.

21. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი მოიცავს:

მეწილე	წილი %	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლია მალრადე	80%	800,000	800,000
ეკატერინე კახიანი	20%	200,000	200,000
სულ	100%	1,000,000	1,000,000

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა 140,000 ლარის დივიდენდი. 2023 წელს კი გამოცხადდა დივიდენდი 137,500 ლარის ოდენობით, დამფუძნებელთა წილების შესაბამისად.

22. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სასამართლო დავა

კომპანიის ჩვეული საქმიანობის პროცესში მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

კომპანია დროდადრო აწარმოებს გარკვეულ სასამართლო დავებს პრობლემური კლიენტების მიმართ, თუმცა აღნიშნული სასამართლო დავებისგან გამომწვეული ფინანსური ეფექტი გათვალისწინებულია კლიენტებზე გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვში.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

2018 წლის 5 ივლისს სებ-ის პრეზიდენტმა დაამტკიცა რეგულაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კომპანია სრულად აკმაყოფილებს სებ-ის რეგულაციებს 2024 და 2023 წლებში. 2024 წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში კომპანია ვერ აკმაყოფილებდა ქიკ (ქონებრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) და ლიკვიდურობის კოეფიციენტს. აღნიშნულთან დაკავშირებით კომუნიკაცია განხორციელდა კომპანიასა და სებ-ს შორის. 2024 წლის ბოლოსთვის აღნიშნული კოეფიციენტები დაკმაყოფილებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პირობების დაკმაყოფილების შესახებ მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე და შესაძლოა განსხვავდებოდეს მარეგულირებლის მსჯელობისაგან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა;
- კაპიტალთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ) და მსესხებლების მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

კომპანია 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

მიღებული სესხები, მათ შორის სუბორდინირებული სესხები	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლია მალრაძე	დამფუძნებელი	909,242	897,984
ქაიხოსრო მალრაძე	სხვა დაკავშირებული მხარე	119,733	69,323
მერაბ ღავთაძე	სხვა დაკავშირებული მხარე	-	409,777
სულ		1,028,975	1,377,084
სულ მიღებული სესხები, მათ შორის სუბორდინირებული სესხები		1,761,823	2,372,300

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

საპროცენტო ხარჯი	ურთიერთობა	2024	2023
ლია მალრაძე	დამფუძნებელი	(45,768)	(45,308)
მერაბ ღავთაძე	სხვა დაკავშირებული მხარე	(8,385)	(24,207)
ეკატერინე კახიანი	დამფუძნებელი	(6,467)	(5,864)
ქაიხოსრო მალრაძე	სხვა დაკავშირებული მხარე	-	(403)
		(60,620)	(75,782)

სულ საპროცენტო ხარჯი (201,726) (241,270)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 56,438 ლარი და 56,288 ლარი 2024 და 2023 წლებისთვის, შესაბამისად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა.....	51
2. ფინანსური მაჩვენებლები და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	51
3. განვითარების გეგმა.....	53
4. ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები.....	53
5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა.....	53
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	54
7. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	54
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	54
9. კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ.....	54

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს მისო „კრედიტორი“ დაარსდა 2011 წელს. ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა კრება. ორგანიზაციის საქმიანობაზე ზედამხედველობას კი ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ნიშნავს დირექტორს.

კომპანია წარმოდგენილია საკრედიტო, ფინანსური და იურიდიული განყოფილებით, ასევე, ფუნქციონირებს საკრედიტო კომიტეტი. ორგანიზაციის მთავარი საქმიანობაა სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე. 2024 წლის მდგომარეობით, სესხები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს: იპოთეკური, სამეწარმეო, აგრო და ავტო სესხები, აგრეთვე, სამომხმარებლო სესხები. თუმცა, 2024 წლისთვის სამეწარმეო, სამომხმარებლო და აგრო სესხების გაცემა არ მომხდარა.

კომპანია თვალს ადევნებს მარეგულირებელ გარემოს და ნერგავს განხორციელებულ ცვლილებებს თავის ოპერაციებში.

კომპანიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლები, მათთან დაკავშირებული პირები და საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები (2024 წლისთვის სს „საქართველოს ბანკი“).

2. ფინანსური მაჩვენებლები და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

ა. საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები		
საპროცენტო შემოსავალი	2024	2023
გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	611,864	888,348
	611,864	888,348
საპროცენტო ხარჯი	2024	2023
ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(137,494)	(140,406)
სუბორდინირებულ სესხებზე	(43,231)	(41,308)
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(17,310)	(47,241)
საიჯარო ვალდებულებებზე	(3,691)	(12,315)
	(201,726)	(241,270)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	410,138	647,078
ბ. გაცემული სესხები		
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემული სესხები	1,565,048	2,657,425
დარიცხული პროცენტი	60,931	63,609
	1,625,979	2,721,034
გამოკლებული: საეჭვო ვალების ანარიცხები	(132,984)	(111,757)
	1,492,995	2,609,277

2024 წელს გაცემული სესხების პორტფელი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2. ფინანსური მაჩვენებლები და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

გ. სესხების უზრუნველყოფების შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხები უზრუნველყოფილია შემდეგი ქონებით:		
უძრავი ქონება	533,148	801,563
ავტოტრანსპორტი	918,743	1,328,848
ოქრო	174,088	590,623
გამოკლებული: საექვო ვალების ანარიცხები	(132,984)	(111,757)
სულ გაცემული სესხები	1,492,995	2,609,277

2024 წელს გაცემული სესხების საერთო მოცულობა შემცირებულია, რაც გამოწვეულია 2024 წლის 1 მარტიდან ამოქმედებული ახალი რეგულაციით სარეკლამო სმს -ის დაგზავნის შესახებ. შესაბამისად ამ ტიპის სარეკლამო კამპანია შეჩერდა, რამაც გამოიწვია ახალი კლიენტების შემცირება და სესხების გაცემა. (სმს რეკლამა იყო ყველაზე ეფექტური ჩვენს სარეკლამო კამპანიებში). ასევე, აქვე აღვნიშნავთ, რომ ვმუშაობთ შესაბამისი ბაზების შექმნაზე რათა კანონის ფარგლებში გავააქტიუროთ ეს სარეკლამო კამპანია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში არსებული სერვის ცენტრები ქუჩების დაგეგმარების ცვლილების გამო, არსებული ფილიალები იყო არამომგებიანი. აღნიშნული ფილიალების დახურვით მოხდა ხარჯების ოპტიმიზაცია.

სესხები სახეების მიხედვით: 33%-ითაა შემცირებული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემა, 31% ით ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფილი სესხები. კომპანიამ მთლიანად გააუქმა ოქროს სალომბარდე სესხების გაცემა, რამაც ასევე იმოქმედა ოქროთი უზრუნველყოფილი სესხების შემცირება 71%-ით.

დ. სასესხო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიზიკური პირებისგან	121,812	690,160
ბანკებისგან	733,786	855,240
	855,598	1,545,400

სასესხო ვალდებულებების ნაწილში შემცირებულია ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები.

სუბორდინირებული სესხი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სესხის ძირი	718,541	688,486
დარიცხული პროცენტი	187,684	138,414
	906,225	826,900

2020 წელს კომპანიამ დამფუძნებლისგან, ლია მაღრაძისგან, მიიღო სუბორდინირებული სესხი. 2022 წლის მაისიდან აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთი 10%-დან შემცირდა 6%-მდე. 2025 წელს იგეგმება არსებული სუბორდინირებული სესხის ვადის გახანგრძლივება;

გაკორტების შემთხვევაში აღნიშნული სესხის ძირისა და პროცენტის გადახდები ნაკლებ უპირატესია, ვიდრე სხვა კრედიტორებთან არსებული დავალიანების გადახდა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. განვითარების გეგმა

ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მეწილეებს სურვილი აქვთ განავითარონ ორგანიზაცია საქართველოში, გახსნან დამატებითი ფილიალები და ასევე, მოთხოვნიდან გამომდინარე დაანერგონ ახალი პროდუქტები.

ჩვენი/კომპანიის მიზნებია:

1. საკრედიტო პორტფელის გაფართოება, რათა განვაგრძოთ მდგრადი ზრდა;
2. რისკების მართვის გაუმჯობესება;
3. კომპანიის განმტკიცება, რათა მოვიზიდოთ ახალი პარტნიორები;
4. მომხმარებელთა ფინანსური მხარდაჭერა, მათთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება, მათი კმაყოფილების გაუმჯობესება.

ჩვენი კომპანია ამაყობს თავისი გუნდით, რომლებიც მუშაობენ ეფექტურად, ერთგულად და ხარისხიანად, ხოლო მმართველობითი ორგანო მუდამ ზრუნავს მათ კეთილდღეობასა და განვითარებაზე, აძლევს მათ საშუალებას გაიზარდონ.

4. ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული საკითხები

კომპანიას 2024 წელს აქვს წარმოქმნილი მთლიანი სრული ზარალი 195,628 ლარის ოდენობით და დაგროვილი ზარალი, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 274,710 ლარს. კომპანიამ 2024 წელს დახურა სამი ფილიალი და დაარღვია ფინანსური ინსტიტუტის შეზღუდვა დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია კომპანიისთვის და იგი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შემდეგი მიზეზების გამო:

- 2024 წელს მთლიანი სრული ზარალი და აკუმულირებული ზარალები გამოიწვია 2023 წელს მომხდარი თაღლითობის შედეგად მარნეულის ფილიალში არსებული ოქროს სესხების ჩამოწერამ ღირებულებით 229 ათასი ლარი. რომ არა აღნიშნული ფაქტი, კომპანია 2024 წელსაც დაასრულებდა მოგებით;
- ფილიალების დახურვა გადაწყდა ხარჯების ოპტიმიზაციის გამო. თბილისში არსებული სერვის ცენტრები ქუჩების დაგეგმარების ცვლილების გამო, არსებული ფილიალები იყო არამომგებიანი;
- საჭიროების შემთხვევაში, დაკავშირებული მხარეები მზად არიან კომპანიაში შემოიტანონ დამატებითი სახსრები;
- იგეგმება ერთ-ერთ დამფუძნებელთან არსებული სუბორდინირებული სესხის ვადის გახანგრძლივება, რომლის სახელშეკრულებო ვადა იწურება 2025 წლის აპრილში;
- დამატებითი სახსრების საჭიროების შემთხვევაში, კომპანია დაიწყებს აქტიურ სამუშაოებს ძირითად საშუალებებში არსებული შენობის გასაყიდად. შენობა კომერციულად მიმზიდველ ადგილას მდებარეობს და კომპანია იმედოვნებს, გაყიდვასთან დაკავშირებით არ შეექმნება პრობლემა;

რაც შეეხება ბანკის შეზღუდვებს, კომპანია ყოველთვის დროულად ემსახურება სესხს და იხდის ვალდებულებებს, ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ბანკს არ გაუზრდია სესხზე პროცენტი და არ მოუთხოვია სესხის დაუყოვნებლივ გადახდა. ხელმძღვანელობა არც მომავალში მოელის აღნიშნული რისკის მატერიალიზებას.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

7. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციამ 2024 წელს დახურა სამი ფილიალი და საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ სათავო ოფისის მეშვეობით. მარნეულის ფილიალში დაფიქსირებული ოქროს სალომბარდე სესხების არაკეთილსინდისიერად გაცემის ფაქტმა გამოიწვია შესაბამისი ფილიალის დახურვა. დიდუბის და ვარკეთილის რაიონში ფილიალების დახურვა გამოწვეულია ხარჯების ოპტიმიზაციის გამო, თბილისში განხორციელებულმა ახალმა საგზაო დაგეგმარებამ არსებული ფილიალების მდებარეობა გახადა არაეფექტური და არაკონკურენტუნარიანი, რის გამოც ფილიალები იყო არამომგებიანი.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მიუხედავად ჩვენი კრეატიული მიდგომისა ბიზნესისადმი, სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკები (სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი);

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის პოლიტიკასა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. კომპანიაში არსებული რისკების მართვის პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს საჭირო ქმედებებს ზემოთ ჩამოთვლილი რისკების თავიდან ასაცილებლად. საკრედიტო რისკი კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. ეს განპირობებულია იმითაც, რომ კომპანიას არ გააჩნია უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხები. ლიკვიდობის რისკის წინაშე კომპანია არ დგას, ვინაიდან გაცემული სესხების საშუალო ვადიანობა ნაკლებია კომპანიის მიერ მოზიდული სახსრების ვადიანობაზე.

ამასთანავე, კომპანიას გააჩნია საკრედიტო ხაზი მის მომსახურე ბანკში, რომელიც ნებისმიერ დროს შეუძლია აითვისოს. ასევე, კომპანია სავალუტო რისკების შემცირების მიზნით იყენებს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ფორვარდული კონტრაქტები.

ფინანსური რისკები დეტალურად იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში. ჩვენზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. ამასთან, კომპანია ითვალისწინებს ეროვნული ბანკის „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“ დებულებას და ხელმძღვანელობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებით თავის საქმიანობის ფარგლებში.

მიუხედავად გამოწვევებისა, კომპანია ინარჩუნებს სტაბილურობას და სურს იყოს ერთ-ერთი გამორჩეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ე. კახიანი

მთავარი ბუღალტერი _____ ი. ტაბატაძე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი“
მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

7. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციამ 2024 წელს დახურა სამი ფილიალი და საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ სათავო ოფისის მეშვეობით. მარნეულის ფილიალში დაფიქსირებული ოქროს სალომზარდე სესხების არაკეთილსინდისიერად გაცემის ფაქტმა გამოიწვია შესაბამისი ფილიალის დახურვა. დიდუბის და ვარკეთილის რაიონში ფილიალების დახურვა გამოწვეულია ხარჯების ოპტიმიზაციის გამო, თბილისში განხორციელებულმა ახალმა საგზაო დაგეგმარებამ არსებული ფილიალების მდებარეობა გახადა არაეფექტური და არაკონკურენტუნარიანი, რის გამოც ფილიალები იყო არამომგებიანი.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მიუხედავად ჩვენი კრედიტული მიდგომისა ბიზნესისადმი, სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკები (სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი);

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვის პოლიტიკასა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. კომპანიაში არსებული რისკების მართვის პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს საჭირო ქმედებებს ზემოთ ჩამოთვლილი რისკების თავიდან ასაცილებლად. საკრედიტო რისკი კომპანიას მინიმუმამდე აქვს დაყვანილი. ეს განპირობებულია იმითაც, რომ კომპანიას არ გააჩნია უზრუნველყოფის გარეშე გაცემული სესხები. ლიკვიდობის რისკის წინაშე კომპანია არ დგას, ვინაიდან გაცემული სესხების საშუალო ვადიანობა ნაკლებია კომპანიის მიერ მოზიდული სახსრების ვადიანობაზე.

ამასთანავე, კომპანიას გააჩნია საკრედიტო ხაზი მის მომსახურე ბანკში, რომელიც ნებისმიერ დროს შეუძლია აითვისოს. ასევე, კომპანია სავალუტო რისკების შემცირების მიზნით იყენებს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ფორვარდული კონტრაქტები.

ფინანსური რისკები დეტალურად იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

9. კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ


კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში. ჩვენზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. ამასთან, კომპანია ითვალისწინებს ეროვნული ბანკის „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ“ დებულებას და ხელმძღვანელობს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებით თავის საქმიანობის ფარგლებში.

მიუხედავად გამოწვევებისა, კომპანია ინარჩუნებს სტაბილურობას და სურს იყოს ერთ-ერთი გამორჩეული.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 21 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



ე. კახიანი

ი. ტაბატაძე